

საარჩევნო პროგრამების ფინანსური რეიტინგი

ჩვენს ფინანსურ რეიტინგში ხვდება მხოლოდ იმ კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამები, რომლებიც ჩვენი ექსპერტების მიერ შემუშავებულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. 2017 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის ასეთი მხოლოდ სამი წინასაარჩევნო პროგრამა აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებმა ვერ დააკმაყოფილეს ჩვენს მიერ ქვემოთ აღწერილი სტანდარტი და შესაბამისად, 2017 წლის ფინანსური რეიტინგის მიღმა აღმოჩნდნენ.

“საარჩევნო პროგრამების ფინანსური რეიტინგის” მიზანია, ხელი შეუწყოს საარჩევნო დაპირებების სერიოზულ, რაციონალურ საჯარო ანალიზს, ეს კი შეუძლებელია თუკი არ ვიცით, ესა თუ ის კანდიდატი, როგორ და რა ხარჯებით განახორციელებს ამა თუ იმ ინიციატივას. სწორედ ამიტომ, ჩვენი პროექტის პირველი ფაზა აფასებს იმას, თუ რამდენად დათვლილია ამა თუ იმ კანდიდატის კონკრეტული ინიციატივა.

“ფინანსური რეიტინგი” არ არის კანდიდატთა პროგრამების სრული შინაარსობრივი ანალიზი და მხოლოდ მათი დათვლის თეორიულ შესაძლებლობას განიხილავს. შესაძლებლობა მოხდეს წინასაარჩევნო პროგრამების ფინანსური და ეკონომიკური განზომილება ჩვენ წინასაარჩევნო კამპანიის აუცილებელ და მნიშვნელოვან კომპონენტად მიგვაჩნია. ამასთანავე, პროგრამები ხშირად და მართებულად ასევე ეხება ისეთ საკითხებს, რომელთაც შესაძლოა ჰქონდეთ მხოლოდ ეთიკური ან პოლიტიკური განზომილება, რაც არ წარმოადგენს არსებული რეიტინგის ანალიზის საფუძველს. პროექტის მეორე ეტაპზე, ჩვენ უკვე კანდიდატთა დაპირებების უფრო სიღრმისეულ შედარებით ანალიზს გამოვაქვეყნებთ.

წინასაარჩევნო პროგრამების ფინანსური ანალიზი განხორციელდა იმის მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებელი იყო მათ მიერ შემოთავაზებული საპროგრამო წინადადებების ხარჯის გაანგარიშება შემდგომი ეკონომიკური ანალიზის მიზნით. აღნიშნულის დასადგენად ექსპერტთა ჯგუფმა გამოიყენა შემდეგი მიდგომა:

უპირველეს ყოვლისა, ჯგუფმა ქალაქის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი საკითხები რვა პირობით “კალათად” დააჯგუფა და კანდიდატთა პროგრამები ამ რვა კალათში მოათავსა. ეს “კალათები” შემდეგია:

1. ეკონომიკური პოლიტიკა

ქალაქის ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს ძირითად ხედვას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ადგილობრივი გადასახადები, ქალაქის განვითარებისთვის საჭირო დამატებითი თანხების მობილიზების მექანიზმები, ქალაქის ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და განვითარება, არსებული ინფრასტრუქტურის ოპტიმალური გამოყენება, დამატებითი შემოსავლების მობილიზაციის მიზნით, კერძო ბიზნესთან თანამშრომლობა და ზოგადად, ქალაქის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა და ბიზნეს აქტივობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

2. სოციალური დანახარჯები

სოციალურ დანახარჯებს განეკუთვნება თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯი, რომელიც სამ: სოციალური დახმარების, ჯანდაცვის ხარჯის და განათლების ხარჯებად შეიძლება დავაჯგუფოთ.

3. ქალაქის მმართველობა

ქალაქის მმართველობა, მნიშვნელოვან საბიუჯეტო დანახარჯებს მოითხოვს. იგი მოიცავს მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის მიზნებისთვის შექმნილ სტრუქტურულ ერთეულებს, იურიდიულ პირებს, მიუხედავად მათი სამართლებრივი ფორმისა. ძირითადად გამოიყოფა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ფუნქციის მქონე - საკრებულო და მისი სტრუქტურა; აღმასრულებელი ფუნქციის მქონე მერიის ადმინისტრაცია და საქალაქო სამსახურები, ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებშია ასევე გამგეობები. მუნიციპალიტეტის ფუნქციების განსახორციელებლად ასევე შექმნილია და შესაძლოა შეიქმნას საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები. ასევე, მიღებული პრაქტიკაა მუნიციპალიტეტის ფუნქციის დელეგირება კონკურსის გზით (ე.წ. Outsourcing).

4. საზოგადოებრივი/ურბანული ინფრასტრუქტურა

ურბანული ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ ქსელებსა და სისტემებს, რომლებიც მოიცავენ გარკვეულ სექტორებს, ინსტიტუციებს და გადანაწილების შესაძლებლობებს, გარკვეული პროდუქტებითა და მომსახურებით საიმედო უზრუნველყოფის მიზნით. ეს ინფრასტრუქტურა მრავალნაირია და იგი სასიცოცხლოა ქალაქის გამართული ფუნქციონირებისათვის ნებისმიერ სფეროში, როგორც მმართველობის ყველა დონეზე, ისე მთლიანად საზოგადოებისათვის. გამართულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირება, მისი მოვლა-პატრონობა და განვითარებაში ხელშეწყობა წარმოადგენს მთავრობის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. ეს არის ინვესტიცია, რომელსაც გააჩნია მრავალმხრივი ეფექტი ცხოვრების დონეზე და მოაქვს სოციალური, ეკონომიკური და გარემოზე ზემოქმედებითი შედეგები.

5. ურბანული მობილობა

ურბანული მობილობა მოიცავს ქალაქურ გარემოში გადაადგილებას და ამის სხვადასხვა საშუალებებს - ფეხით, ველოსიპედით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, პირადი ავტომობილით და ა.შ. დღეს საერთაშორისო მიდგომაა მდგრადი ურბანული მობილობის სისტემების შემუშავება იმგვარად, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ქალაქებში გადაადგილების მოთხოვნა და ამავედროულად ყველასათვის უზრუნველყოფილ იქნას სატრანსპორტო სისტემებზე წვდომა, გაუმჯობესდეს უსაფრთხოება, შემცირდეს ჰაერის დაბინძურება, გაუმჯობესდეს ურბანული ტრანსპორტირების ხარჯთა ეფექტურობა და ზოგადად

გაიზარდოს ქალაქური გარემოს მიმზიდველობა. მდგრადი მობილობა ინტეგრირებული დაგეგმვის პროდუქტია და მან უნდა უზრუნველყოს საერთო ურბანული ინფრასტრუქტურის და სივრცის თანასწორი გადანაწილება მოძრაობის ყველა მონაწილისათვის. ამისათვის, პირველ რიგში, ხდება ფეხით მოსიარულეთათვის და ველოსიპედით მოსარგებლეთათვის ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების განვითარება.

6. საცხოვრებელი

საცხოვრებელი და მასზე წვდომის უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს ამ უფლებას, როგორც ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის ნაწილს. ეს უფლება აღიარებულია მრავალი ქვეყნის კონსტიტუციით, მათ შორის საქართველოს. საერთაშორისო შეთანხმებები ადგენს მთავრობების მიერ გადასადგმელ ნაბიჯებს ადეკვატური საცხოვრებლის უფლების სრული და პროგრესული რეალიზების უზრუნველსაყოფად, ხელშესაწყობად და დასაცავად.

7. გარემოს დაცვა

ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის, გარემოს დაცვა ერთ-ერთ ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს. ჯანსაღი, ეკოლოგიურად სუფთა გარემო უზრუნველყოფს ადამიანს სუფთა ჰაერით, წყლით და რეკრეაციული რესურსით, იცავს მას ისეთი დამაზიანებელი ფაქტორებისგან, როგორც არის ხმაური, ურბანული „სითბოს კუნძულები“, სტრესი, დაავადებები და ა.შ. აქედან გამომდინარე, გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინტეგრაციას ქალაქების მართვის სხვადასხვა სფეროში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ასევე დიდი როლი აქვს მოქალაქეების ჩართულობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების გამჭვირვალობას.

8. კულტურა სპორტი და ახალგაზრდობა

აღნიშნული თემა მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებებით. მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებებია: ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა. ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა გარდა თემა ერთიანდება მუნიციპალიტეტის

ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების ნაწილში განსაზღვრული უფლებამოსილებები ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, მასობრივი სპორტის ხელშეწყობის მიმართულებებით, აგრეთვე ყველა ის უფლებამოსილებები რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით.

ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციის მოსაგროვებლად, ჩვენ კანდიდატებს შევთავაზეთ შეევსოთ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული სპეციალიზებული კითხვარები, რომლებიც შეგიძლიათ ამავე საიტზე იხილოთ. ამასთან, EECMD-იმ ყველა კანდიდატს შესთავაზა ექსპერტული მხარდაჭერა აღნიშნულ კითხვარებზე პასუხების მასალების მომზადებაში.

როგორც აღნიშნეთ, ამ ეტაპზე ჩვენ ვაფასებთ არა იმას, თუ რა ხარჯს გვთავაზობს ესა თუ ის კანდიდატი, არამედ იმას, შესაძლებელია ამა თუ იმ დაპირების ფინანსური გაანგარიშება. იმისათვის, რათა ეს შესძლებელი იყოს, აუცილებელია კანდიდატს, როგორც მინიმუმ, განსაზღვრული ჰქონდეს ამა თუ იმ ინიციატივის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

1. რაოდენობრივი (ბენეფიციართა რაოდენობა ან სამუშაოს მოცულობა)

შეუძლებელია ფინანსური გაანგარიშების მოხდენა თუკი საუბარია ზოგად დანაპირებზე, მაგრამ არ ჩანს ან არ შეიძლება ვივარაუდოთ დაგეგმილი სამუშაოს მოცულობა. მაგალითად, დაპირებაში: “გაუმჯობესდება საგზაო ინფრასტრუქტურა” ხარჯის დიაპაზონი ძალიან დიდია (“გაუმჯობესდება,” არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ თუ რა მოცულობის სამუშაოების უნდა შესრულდეს); შესაბამისად შეუძლებელია დადგინდეს, თუ რა რაოდენობის ხარჯზე საუბრობს კანდიდატი.

2. ხარისხი

როდესაც ამა თუ იმ საპროგრამო დაპირებაში ვკითხულობთ რომ “განახლდება ქალაქის ავტოპარკი,” უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხარჯზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს იმას, თუ რომელ კონკრეტულ მწარმოებელსა თუ მოდელზეა საუბარი. ხარისხის კატეგორიას, ასევე, მიეკუთვნება ისეთი დაპირება, როგორცაა მაგალითად: “გავცემთ სესხებს” ასეთი წინადადება ვერ იქნება დათვლადი, რადგანაც სესხის გაცემა შესაძლოა იყოს მინიმალურ ხარჯებთან დაკავშირებული (მთელი თანხა სესხად გაიცეს და შედეგ უკან დაბრუნდეს), მაგრამ შესაძლოა სესხის სხვადასხვა მოცულობა სხვადასხვა პირობებით გაიცეს. შესაბამისად, ხარჯი შეიძლება იყოს ნული, სრულად დაპირებული X მილიონი, ან პირველადი სესხის მოცულობაზე მეტიმეტი. შეჯამებისთვის, იმ შემთხვევაში, როდესაც შესასრულებელი სამუშაოს “ხარისხი” არაა ცნობილი, რთულდება პროგრამის ეკონომიკური გაანგარიშება.

შესაბამისად, იმისათვის, რათა კანდიდატების წინასაარჩევნო დაპირებები რაციონალურ ფინანსურ და ეკონომიკურ ანალიზს დაექვემდებაროს, ისინი უნდა იძლეოდნენ ნათელ ინფორმაციას როგორც ამა თუ იმ დაპირების რაოდენობივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, როგორც მინიმუმ. კანდიდატების პროგრამებში, შესაძლოა, მოცემული იყოს ინფორმაცია ორივე ამ საკითხზე, მხოლოდ ერთ მათგანზე და საერთოდ, არც ერთზე.

შესაბამისად, ამ ორი კრიტერიუმის - რაოდენობისა და, ხარისხის - გამოყენებით, კანდიდატთა პასუხები ჩვენ სამ კატეგორიად დავაჯგუფეთ.

1. **“სრულად დათვლადი:”** როდესაც კანდიდატის ინიციატივაში მოცემულია საკმარისი ინფორმაცია, როგორც ხარისხის, ისე რაოდენობის შესახებ;
2. **“ნაწილობრივ დათვლადი:”** როდესაც კანდიდატის ინიციატივაში მოცემულია ინფორმაცია რაოდენობის, მაგრამ არა ხარისხის შესახებ;
3. **“შეუძლებელია დათვლა:”** როდესაც კანდიდატის პროგრამაში: არ მოიპოვება ინფორმაცია არცერთ კრიტერიუმზე ან ინფორმაცია მხოლოდ ხარისხის შესახებ არის ცნობილი.